

"ყვითელი მარშრუტებიდან მხოლოდ 143 არის ახადი, დანარჩენი კრიტიკულ მდგომარეობაშია"



თბილისის მერმა კახა კარაძემ კონფერენციაში „ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის პერიოდური ტექნიკური ინსპექტირების შეფასების თაობაზე კონსენსუსის მშენებლობა“ მიიღო მონაწილეობა.

კახა კარაძის თქმით, ეკოლოგიური მდგომარეობის მიმართულებით ჩატარებული ყველა კვლევა კრიტიკურია და დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების თვადსაზრისით ეკოლოგიური მდგომარეობის მწვავე პრობლემა დგას.

„ჩვენც გვაქვს ჩატარებული კვლევა, რომლის წარმოდგენასაც ვაპირებთ და ვაჩვენებთ საზოგადოებას, თუ როგორ გარემოში ვცხოვრობთ. გარკვეული რეფორმების გარეშე შეუძლებელია არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანის როლი და ჩართულობა ამ პროცესებში, რათა ყველამ შევცვალოთ დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობა“, – განაცხადა თბილისის მერმა.

დედაქალაქის მერია უახლოეს მომავარში წარმოადგენს სატრანსპორტო პოლიტიკას, როგორც ხედვა აქვს გრძელვადიან პერსპექტივაში, რა უნდა გავეთდეს თვეების, წლების მიხედვით რომ გამოვასწოროთ

მდგომარეობა .

„საზოგადოება აქტიურად ჩართულია იმაში, რომ ქადაქში არის მწვავე პრობლემა, თუმცა სამწუხაროა, რომ ძირითადად მიდის ფოტოსურათების გაზიარება ყვითელ ავტობუსებთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით. შემიძლია ვითხრათ, რომ ეს არის ზღვაში წვეთი. იმიტომ, რომ დედაქადაქში გადაადგირდება 500 000-ზე მეტი ავტომობილი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილში ყვითელი ავტობუსების 650 ერთეულია. აქედან 143 არის ახალი, დანარჩენი არის კრიტიკულ მდგომარეობაში. დანარჩენი 96% არის 10 წლიდან 20 წლამდე და 20 წლის ზემოთ. დაახლოებით ოთხ პროცენტამდე არის 0-დან ექვს წლამდე ანუ ახალი ავტომობილები. რომ გადავხედოთ სტატისტიკას, ყოველწლიურად ავტომობილების შემოყვანა, იმპორტირებული ავტომობილების რაოდენობა 7%-ით იზრდება და ძირითადად არის ძველი ავტომობილები“, – განაცხადა კარაძემ.

თბილისის მერის თქმით, ყვითელი ავტობუსები და მიკროავტობუსები არის კრიტიკულ მდგომარეობაში.

„ყვითელ ავტობუსებს ყვერანაირი რესურსი ამონჭრული აქვთ, თუმცა მიდის მათი განახლება. დღეს რომ შევზღუდოთ და არ გამოვიყვანოთ, ხარბს ხომ სჭირდება გადაადგილება. რაც შეეხება მიკროავტობუსებს, მათ დღეს ყვერაზე მეტი მგზავრი გადაჰყავთ. აქაც არის მძიმე მდგომარეობა – 90 % ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ჩვენ მივიღეთ გრანტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან და დავიწყეთ კვლევა რომედსაც ატარებს კომპანია „სისტრა“. ჩვენ გვექნება ძალიან მარე სრული სურათი, თუ როგორ უნდა იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, როგორ უნდა იყოს ხაზები, რა მიმართულებით. საერთოდ გვჭირდება თუ არა ე.წ. ყვითელი მარშრუტები და ასე შემდეგ. როდესაც ეს კვლევა გვექნება, მერე ძალიან მარტივია გადაწყვეტილებების მიღება“, – განაცხადა კახა კარაძემ.

ასევე კახა კარაძე თვლის, რომ ძველი ავტომობილების შემოყვანა

აუცილებლად უნდა აიკრძალოს.